



საქართველო

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი
მერია



GEORGIA RUSTAVI CITY MUNICIPALITY CITY HALL

N 15207-02
10/12/2018

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ **ლევან ონიანს**

ბატონო ლევან,

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების, 78-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოგიდგინებ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტს.

პატივისცემით,

ტაბაღუა ირაკლი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია

**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის
ბიუჯეტის პროექტის
განმარტებითი ბარათი**

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით შემოსულობები განისაზღვრა 41 923,5 ათ. ლარით. მათ შორის: გადასახადების გეგმა - 33 362,9 ათ. ლარით; სხვა შემოსავლების გეგმა - 4 661,0 ათ. ლარით; არაფინანსური აქტივების კლებიდან იგეგმება - 750,0 ათ. ლარი; გრანტების გეგმა განისაზღვრა 500,0 ათ. ლარით, მიზნობრივი ტრანსფერი. ასევე განისაზღვრა 2018 წლის ბიუჯეტიდან წლის ბოლოს დარჩენილი საპროგნოზო ნაშთი ოდენობა 2 649,6 ათ. ლარით.

2019 წლის ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული შემოსულობები და სავარაუდო ნაშთი, სულ 41 923,5 ათ. ლარი, გადასახდელების ნაწილში დაიგეგმა პრიორიტეტების შესაბამისად და გადანაწილდა მუხლობრივად:

ხარჯები - 35 757,7 ათ. ლარი.

შრომის ანაზღაურება - 14 018,4 ათ. ლარით განისაზღვრა მუნიციპალიტეტისა და მის მიერ დაფუძნებული იურიდიულ პირებში დასაქმებული თანამშრომლების ხელფასის ფონდი.

საქონელი და მომსახურება - 13 180,5 ათ ლარი. მათ შორის: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება მუნიციპალიტეტისა და მის მიერ დაფუძნებული იურიდიულ პირებში დასაქმებულ თანამშრომლებზე; მივლინებები დაფინანსდება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. ოფისის ხარჯებში გათვალისწინებულია ქალაქში არსებული სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოს საპროექტო დოკუმენტაციის დამზადება და ტექნიკური ზედამხედველობა, თვითმმართველობაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების ნორმალური ფუნქციონირებისათვის სხვადასხვა სახის ხარჯი; წარმომადგენლობით ხარჯებში დაგეგმილია წლის მანძილზე სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებზე მოწვეული სტუმრების გამასპინძლება, სხვადასხვა სახის საჩუქრებისა და სუვენირების შექმნა-დამზადება; ტრანსპორტის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები გათვლილია თვითმმართველობისა და მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტისა და სათადარიგო ნაწილებისთვის; ასევე საწვავ-საპოხი მასალების შექმნა; დაგეგმილია სახელშეკრულებო წესით შესასრულებელი სხვადასხვა სახის სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვა.

პროცენტი - 165,1 ათ. ლარი გათვალისწინებულია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან წინა წლებში აღებული სესხის პროცენტის დასაფარად.

სუბსიდიები - 1 975,6 ათ. ლარით თვითმმართველობა სუბსიდირებას უწევს ავტოტრანსპორტის საწარმოსა და სპორტულ კლუბებს (რაგბი და კალათბურთი).

გრანტები - 4,0 ათ. ლარი გათვალისწინებულია ენერგო ქალაქების საწევროს დასაფინანსებლად.

სოციალური უზრუნველყოფა - 3 208,7 ათ. ლარი განკუთვნილია ქალაქის სოციალურად დაუცველი ფენების მუნიციპალურ ავტოტრანსპორტის შეღავათებზე; წყლის გადასახადზე; იმუშავეებს უფასო კვების პროგრამა; გათვალისწინებულია მოსახლეობის შეღავათები მედიკამენტებზე, საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალური დახმარება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ცენტრის ხელშეწყობა და სხვა.

სხვა ხარჯები - 3 205,4 ათ. ლარი გამიზნულია თვითმმართველობის ავტოპარკის დაზღვევისათვის; ასევე მოიცავს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაციას; ამასთანავე ფინანსდება ამხანაგობების ხელშეწყობის ფარგლებში საცხოვრებელი კორპუსებში კეთილმოწყობის სამუშაოები.

არაფინანსური აქტივების ზრდა - 5 354,4 ათ. ლარი გაგრძელდება ქალაქში ინფრასტრუქტურული პროექტები და შესყიდულ იქნება ა(ა)იპ-ების მხრიდან ის ინვენტარი/ტექნიკა, რაც მათი სამუშაო პროცესისათვის არის საჭირო.

ვალდებულებების კლება - 811,4 ათ. ლარი გათვალისწინებულია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან წინა წლებში აღებული სესხის ძირი თანხის დასაფარად.

შენიშვნა: მერის სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 300,0 ათ. ლარით.

ამრიგად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით, როგორც შემოსულობების, ასევე ხარჯების ნაწილი განისაზღვრა 41 923,5 ათ. ლარით.